n 11/899
PX 4645/1.



# ჯარჯი დოლიძე

**საბურთალო** (ვეძისი, კანდელაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგის გამზირი, საბურთალოს მარცხენა ნაწილი პეკინის ნაწილი, გოთუას ქ.)

**5**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ჯარჯი დოლიძე თბილისში დაიბადა. სწავლა განაგრძო ჯერ აგრარულ უნივერსიტეტში, შემდეგ კი ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტში. უკვე წლებია მერიის სამსახურებში თბილისის პრობლემებზე მუშაობს. კარგად იცნობს საბურთალოს რაიონს და იმ მთავარ პრობლემებს, რომლებიც აქ მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ.

**იქნება ეს უმთავრესი – ახალი სამუშაო ადგილების სიმცირე თუ სხვა პრობლემები, მოუწესრიგებელი გზები, მოძველებული ინფრასტრუქტურა და ავარიული სახლები, ჯარჯის აქვს კონკრეტული გეგმა, როგორ ამოუდგეს მხარში საბურთალოელებს.**

**„საბურთალოს რაიონის მთავარ პრობლემად უმუშევრობა მიმაჩნია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემი მთავარი ამოცანა გაჩერებული ბიზნესის თქვენთან ერთად ამუშავება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და საბურთალოზე ინფრასტრუქტურის განახლებაა! ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ!“**

## ერთად ავამუშაოთ თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკა მელია

**5**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

## ავამუშაოთ თბილისი











# ავამუშაოთ თბილისი

ნიკა მელია თბილისში, სოლოლაკში დაიბადა და გაიზარდა. 47-ე სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში მიიღო. პროფესიით იურისტია. დღეს მშობლიური უბნის, მთაწმინდის გამგებელია. იცის თბილისისა და თბილისელების პრობლემები და აქვს ნათელი ხედვა იმისა, როგორ ვაქციოთ ჩვენი ქალაქი ნამდვილ ევროპულ დედაქალაქად! როგორ ვაქციოთ თბილისი უფრო თანამედროვე ქალაქად და ამავდროულად, შევინარჩუნოთ მისი უნიკალური კოლორიტი!

თბილისის მერის პოსტი პოლიტიკური თანამდებობაა, მაგრამ მე პოლიტიკა მესმის არა როგორც ურთიერთდაპირისპირების, ინტრიგების და კინკლაობის ასპარეზი, არამედ, როგორც შესაძლებლობა:

- დასაქმების
- ინფრასტრუქტურის განახლების
- ჯანდაცვის განვითარების
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების
- განათლების
- თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის მოწყობის.

ცნება "ჩემი ქალაქი" აერთიანებს მრავალი ასწლეულის მომცველ ისტორიას და სამომავლო ევროპული ტიპის განვითარების პერსპექტივას.



# ჩემი პოლიტიკა თბილისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისელების დასაქმება შესაძლებელია

- გადასახადების შემცირებით
- საწვავსა და გაზზე აქციზური გადასახადის გაუქმებით
- ბიზნესთან დაკავშირებული გადაცდომების და დარღვევების დეკრიმინალიზაციით
- საგადასახადო ამნისტიით
- ახალ რეგულაციებზე მორატორიუმით
- ბიზნესისათვის მშვიდი და პროგნოზირებადი გარემოს შექმნით





## გპირდებით ეკონომიკის წინსვლას, ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას



## დავიწყებთ ქალაქში გზების მშენებლობის მეორე ტალღას



## განვახორციელებთ ქალაქიდან რკინიგზის გატანის პროექტს



## განვაახლებთ დიღომი – დიდუბის შემაერთებელი სამანქანო ხიდის პროექტს



# სამომავლოდ თბილისის პოლიტიკა დღევანდელმა სტუდენტებმა უნდა განსაზღვროთ



ამისათვის გთავაზობთ:

- სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის საფასურის სრულ დაფინანსებას
- ყველა წარჩინებულ სტუდენტს ანაზღაურებად სტაჟირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში
- გამორჩეულად ნიჭიერ სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებას
- თბილისში რეგისტრირებულ ყველა სტუდენტს სახლებში უფასო ინტერნეტით უზრუნველყოფას





## ხელმისაწვდომი განათლება მომავალი დასაქმების საუკეთესო გარანტიაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი ქვეითად მოსიარულეთა ქალაქი

თანამედროვე ევროპული ქალაქების ინფრასტრუქტურული განვითარება ფეხითმოსიარულე ადამიანებზეა ორიენტირებული!

ქვეითად მოსიარულე ადამიანს მაქსიმალური კომფორტი უნდა შევუქმნათ.









## განვავითაროთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი;

- ავტოპარკის სრული განახლება. ქალაქის თანამედროვე, კომფორტული, ეკოლოგიურად სუფთა, შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ადაპტირებული, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
- მეტროპოლიტენის შემდგომი განვითარება. მაგალითად, უნივერსიტეტის მაღლივის ახალი სადგურის შეჩერებული პროექტის განხორციელება
- თანამედროვე ტრამვაის პროექტის განხორციელება
- თბილისის მასშტაბით საბაგიროების, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწყობა



## შევქმნათ სასეირნო და რეკრეაციული ზონები;

- თბილისს აქვს უდიდესი რესურსი იყოს მწვანე ქალაქი. ყველა უბანში უნდა მოვაწყოთ სკვერები და ბაღები, სადაც ოჯახებთან, ბავშვებთან, ან მეგობრებთან ერთად დავისვენებთ და განვიტვირთებით.





## მოვაწყოთ მეტი საფეხმავლო სივრცე და ტროტუარები

- ტროტუარები მანქანებისაგან უნდა გათავისუფლდეს. დღეს თბილისში 30 000 პარკინგის ადგილია და ყველა მათგანი ქუჩის ან ტროტუარის ნაწილს იკავებს. ეს დიდი პრობლემაა. საჭიროა 70 000 ახალი სამანქანო სადგომი. ასეთი პარკინგების მოწყობის ტექნოლოგიები და ტიპები მრავალგვარია. პროექტები არსებობს, ადგილებიც მონიშნულია – მთავარია ავამუშაოთ თბილისი!

## დავუბრუნოთ თბილისელებს უსაფრთხოების განცდა

- ბოლო წლების განმავლობაში თბილისმა ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქის სახელი დაიმსახურა.



ამ განცდას აყალიბებს პოლიციისა და პატრულის ეფექტური მუშაობა, განათებული, მოვლილი და დასუფთავებული ქუჩები, სკვერები და ბაღები, დაცული და განათებული სადარბაზოები. მოქალაქის უსაფრთხოებაზე მერიამ და ცენტრალურმა მთავრობამ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ.









ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაფი გათბობა და ცხელი წყალი თბილისელებს






**მზის ენერგიისა და გაზმომარაგების სინთეზური სისტემა 30 პროცენტით აიაფებს კომუნალურ ხარჯებს. პროექტი უსაფთხოდ გათბობასა და 24 საათის განმავლობაში ცხელი წყალით მომარაგებას ითვალისწინებს! ამასთანავე თბილისის მასშტაბით 8 000-მდე ადგილობრივი მცხოვრების დასაქმებას ითვალისწინებს.** ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლებაში უკვე გამოიცადა თანამედროვე ჰელიოსისტემის ეფექტურობა თბილისის პირობებში. ეს გამოცდილება ფართოდ დაინერგება.





# ჩემი პოლიტიკა თბილისია



